



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„სლავური ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - ზათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10.04.2024



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შეფასების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: რევაზ

გვარი: ტაბატაძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428 158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	სლავური ფილოლოგია Slavic Philology
2	უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სლავურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Slavic Philology
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	ენის დაუფლება 0231
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი (ECTS)
9	განხორციელების ადგილი ⁵	ბათუმის შოთა რუსთაველის

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



		სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	13.02. 2023 გადაწყვეტილების ნომერი: 179139
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	13.02.2024
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	13.02.2030

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		



3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. მნიშვნელოვანია, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების მიზნების აღწერაში დაზუსტდეს, როგორი წვლილის შეტანა შეუძლია პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი მოცემულობის გათვალისწინებით.
2. პროგრამების მიზნების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც უნდა გაირკვეს კვალიფიციურად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.
3. ბსუ-მა უნდა ამოქმედოს პროგრამის მიზნების შემუშავების იმგვარი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ პროგრამების ხელმძღვანელების, არამედ აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში.
4. მნიშვნელოვანია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამის მიზნებში (რომანული ფილოლოგიის გარდა) აისახოს თითოეული მათგანის ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება, პოტენციალი და პერსპექტივები.
5. პროგრამების სწავლის შედეგები მეტად უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.
6. პროგრამის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა წინარეცოდნის გასათვალისწინებლად საჭიროა ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს არჩევითი სტატუსი.
7. ენის შესწავლის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტესტირება ენის ცოდნის დონის დასადგენად, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ენის შესწავლა შესაბამისი საფეხურიდან.
8. ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით და პროგრამებში ფუნქციური დუბლირებების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ენის კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე (თითო ქვესაფეხურის დასაძლევად საკონტაქტო საათების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს კვირაში 6-8 საათზე ნაკლები).

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



9. მნიშვნელოვანია, პროფესორ-მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვრონ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები თავიანთი კურსებისთვის ამ უკანასკნელთა მიზნების, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით.
10. სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, სწავლება წარიმართოს სტუდენტზე ორიენტირებული, მათ შორის ელექტორული სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.
11. ბსუ-მა უნდა იზრუნოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პრაქტიკის დანერგვაზე.
12. პროგრამაში უნდა დაიშვას შეფასების მეთოდებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის თითოეული შედეგის შეფასება სასწავლო კურსის ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით.
13. ბსუ-მა უნდა უზრუნველჰქოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები იწერებოდეს ქართულ ენაზე.
14. მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ბაზების გაცნობა სტუდენტებისათვის და მათი გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით;
15. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე დაკისრებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, შემცირდეს პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვა იმგვარად, რომ მათ რჩებოდეთ დრო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.
16. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით მნიშვნელოვანია, ბსუ-ში მოქმედებდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის უფრო კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც აისახება შესაბამის წესში და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, თითოეულ პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელ და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა დაიგეგმოს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად.
17. პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, ბსუ-მა სისტემატურად შეისწავლოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები, გააანალიზოს ისინი და ანალიზის შედეგები გამოიყენოს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
18. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ჩართული იყვნენ სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამების შეფასების პროცესში იმგვარად, რომ მათ მიერ თავიანთ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები ნაკარნახევი იყოს პროგრამების შეფასების ანალიზის შედეგებით.
19. მნიშვნელოვანია, აკადემიური პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევა განხორციელდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამუშაო ჯგუფის მიერ იმგვარად, რომ წარმოჩნდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონკრეტული საჭიროებები.



20. კვლევის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად საჭიროა, შემცირდეს პროფესორთა აკადემიური დატვირთვა, მათთვის გამოიყოს სამუშაო სივრცე (კაბინეტები კომპიუტერული აღჭურვილობით) და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად ისარგებლონ ხანგრძლივი (რამდენიმეთვიანი, ერთსემესტრიანი) აკადემიური მივლინებებით (ინგლ. sabbatical).
21. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მიღწევის უზრუნველსაყოფად ბსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საერთო ონლაინ-კატალოგში უნდა იძებნებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სხვა სასწავლო მასალა.
22. იმისთვის, რათა ენის დაუფლების სფეროსთან დაკავშირებული ახალი და უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგები გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად, ბსუ-მა უნდა უზრუნველჰყოს სტუდენტების ინფორმირება მათთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსებისა და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ.
23. გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, სადაც აისახება კლასტერული აკრედიტაციის ჩარჩოში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესები, პროცედურები და თანმხლები დოკუმენტები.
24. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში ფილოლოგიური კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ენათმეცნიერულ კომპეტენციებთან ერთად სათანადო ყურადღება და ადგილი დაეთმოს ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც.
25. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
26. მნიშვნელოვანია, რომ სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო კურსეზე/საგნებზე დაშვების წინაპირობა იყოს დასამუშავებელი ლიტერატურისა და კურსის ასათვისებლად საჭირო წინარეცოდნის ადეკვატური.
27. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსი უნდა გადაიხედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობა.
28. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა უნდა იყოს ადეკვატური და შესაბამებოდეს სასწავლო კურსის ინდივიდუალურ (!) სპეციფიკას.
29. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგებთან სასწავლო მასალის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, სილაბუსებში სამეცნიერო წყაროებთან ერთად მითითებული იყოს დაკვირვების ობიექტად გამოსადეგი პირველადი წყაროებიც / საკვლევი ტექსტებიც.
30. თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაში გადაიხედოს სამიზნების ენის B 2 დონეზე ჩაბარების საკითხი.



31. სლავური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე სლავური (რუსული, პოლონური და უკრაინული) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „სლავური ფილოლოგია“ 2023 წ. 13 თებერვალს მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით (MES 0 23 0000179139)

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებისა და რჩევების განხილვის, რეკომენდაციების შესასრულებელი ვადებისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მიზნით 2023 წლის 29 მაისს ენების დაუფლების კლასტერის თვითშეფასების ჯგუფი შეიკრიბა, რომელშიც დაჯგუფებულია 5 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (იხ. დანართი N1).

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „სლავური ფილოლოგია“ განესაზღვრა 31 რეკომენდაცია და 33 რჩევა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ სამუშაო ჯგუფმა განიხილა შესასრულებელი რეკომენდაციები და რჩევები, შეიმუშავა სამუშაო გეგმა (იხ. დანართი N2), დაზუსტდა რეკომენდაციების შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები.

რჩევ(ებ)ი⁸

1. ბსუ-მა უნდა უზრუნველჰყოს ყველა ახალი (რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო, თურქოლოგიის სამაგისტრო, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის სამაგისტრო) პროგრამის საჯარო ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



2. საჭიროა, (კურიკულუმებში ან თვითშეფასების ანგარიშში მაინც) გამოიკვეთოს, რამდენადაა კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება დამყარებული თანმიმდევრული გართულების პრინციპზე, რათა აშკარა იყოს, საბაკალავრო საფეხურის რომელ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს „დაშენდება“ სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი კომპეტენციები.
3. სასურველია, გადაიხედოს და შინაარსობრივად დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების რუკები.
4. სასურველია, სწავლის შედეგების მინიმალური ზღვრების დადგენა ძველ პროგრამებზე მოხდეს სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხოლო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზი და დარგობრივი გამოცდილება იქნას მხედველობაში მიღებული.
5. სასურველია, სასწავლო გეგმებში კურსები დაჯგუფდეს თემატური ან რაიმე სხვა ლოგიკური პრინციპით. მიზანშეწონილი ჩანს ასევე მოდულარული პრინციპის ამოქმედებაც, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, არჩევითი მოდულის ფარგლებში გაიღრმავონ კომპეტენციები მათთვის სასურველი (ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, ქვეყანათმცოდნეობის...) მიმართულებით.
6. სასურველია, პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მათში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვით.
7. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ყოველკვირეული სასწავლო მასალა გვერდების მითითებით.
8. სწავლის შედეგების მიღწევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია მოხდეს პროგრამის სილაბუსებით გაწერილი სასემინარო აქტივობების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამრავალფეროვნება. აღნიშნული შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.
9. აკადემიურ პერსონალს, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს შესაბამისი სამსახურის მიერ ჩაუტარდეს პერიოდულად კონსულტაციები შეფასების სისტემის არსებული გაიდლაინებისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების გაცნობის მიზნით.
10. სასურველია ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით გაცვლით პროგრამებში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა და საორგანიზაციო პროცედურებზე პასუხისმგებელი შესაბამისი მხარდამჭერი სამსახურების აქტივობის გაძლიერება;
11. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის მიზნით სასურველია უცხოელი მოწვეული ლექტორების (native speakers) სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
12. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სტუდენტურ კონფერენციებში საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა;
13. სასურველია, კონსულტაციები ტარდებოდეს ნაკლებად ფორმალიზებული სახით (ბრძანებისა და ცხრილის გარეშე) და კონსულტაციების ჩასატარებლად თითოეული პროფესორისთვის გამოყოფილი იყოს ინდივიდუალური ან საზიარო სამუშაო სივრცე.



14. სასურველია, პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვები არ იყოს ასე განსხვავებული ერთმანეთისგან და მეტად შეესაბამებოდეს საუნივერსიტეტო წესის მიხედვით განსაზღვრულ დატვირთვის სქემას.
15. სასურველია, აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლები უფრო ზუსტი იყოს, სახელდობრ, სტუდენტების რაოდენობა დაანგარიშებული უნდა იყოს არა ჰიპოტეტური/სასურველი რაოდენობების, არამედ რეალური რაოდენობების გათვალისწინებით, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობრივ მაჩვენებლებში უნდა აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი, რომელსაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი აქვს.
16. სასურველია, ბსუ-ის ადმინისტრაციას ჰქონდეს ხედვა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური პერსონალის ახალი კადრებით შევსების / ახალგაზრდა პროფესორთა დასაქმების სიხშირის შესახებ.
17. იმისთვის, რათა აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების გავლა არ გამოდგეს უშედეგო, სასურველია ბსუ-ს ჰქონდეს ტრენინგის შედეგად სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებების მონიტორინგისა (და საჭიროების შემთხვევაში — წახალისების) მექანიზმი.
18. სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით სასურველია, ტრადიციული ტიპის აუდიტორიებთან ერთად ენის სწავლების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოიპოვებოდეს სასემინარო ტიპის აუდიტორიები მერხების წრიული განლაგებით.
19. სასურველია, კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები თავისუფლად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
20. სასურველია, მცირეშემოსავლიანი / წამგებიანი პროგრამების ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად ბსუ-ის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებზე დამყარებული სტრატეგია.
21. თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გასაანალიზებლად უფრო სასარგებლო იქნება, თუ მოქმედი პროგრამების შემთხვევაში სამომავლოდ წარმოდგენილი იქნება არა ბიუჯეტის სასურველი, არამედ რეალური ვარიანტი.
22. რეგულარულად მომზადდეს ვორკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
23. სასურველია გაფართოვდეს გარეშეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.
24. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კალსტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს.
25. უნივერსიტეტმა/დეპარტამენტმა სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან უნდა გააფორმოს მემორანდუმები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.



26. ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ შეძლონ, ჯეროვნად გაუძღვნენ სასწავლო პროცესს ონლაინ-ფორმატში.

27. სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა შეიძლება აიწყოს მოდულურული პრინციპით (რუსისტიკის, პოლონისტიკისა და უკრაინისტიკის სავალდებულო-არჩევითი მოდულები). თითოეულ მოდულში ენის კურსებთან ერთად მოექცეოდა შესაბამისი ქვეყნის ლიტერატურისა და ქვეყანათმცოდნეობის კურსები, ასევე თარგმანთან, ფუნქციურ სტილისტიკასა და დარგობრივ ენებთან დაკავშირებული გამოყენებითი კურსები.

28. სწავლის შედეგების მისაღწევად სავსებით საკმარისი იქნებოდა, სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითო ან ორ-ორი მსხვილი (5-6-კრედიტიანი) კურსი დათმობოდა თითოეულ სლავურ ენაზე შექმნილ ლიტერატურასა და სლავური ენების შედარებითი ენათმეცნიერული კვლევის საკითხებს.

29. სლავური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან.

30. სლავური ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა სლავურ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ კურსებს და თანაბარი დატვირთვითა და მოცულობით ისწავლებოდეს ყველა სლავური ენა.

31. სასურველია, სლავური ფილოლოგიის თეორიული კურსების შემთხვევაში გამოიყოს მეტი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რაც უნდა აისახოს მათთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობაზეც.

32. პროგრამაში, რომელსაც სლავისტიკის პროფილი აქვს, უნდა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ რუსულენოვანი, არამედ სხვა (სლავურ) ენებზე შექმნილი სამეცნიერო წყაროებიც.

33. სასურველია, სლავური ფილოლოგიის პროგრამაზე მისაღები სტუდენტების გაზრდილი კონტინგენტი შენარჩუნდეს ან კიდევ უფრო გაიზარდოს პროგრამის გაფართოების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I ¹⁴	მნიშვნელოვანია, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების მიზნების აღწერაში დაზუსტდეს, როგორი წვლილის შეტანა შეუძლია პროგრამის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი მოცემულობის გათვალისწინებით.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხება სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას.
მტკიცებულებ(ებ)ა	

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია II ¹⁵	პროგრამების მიზნების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც უნდა გაირკვეს კვალიფიციურად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	<p>შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოდიფიცირდა პროგრამის მიზნები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:</p> <p>პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:</p> <p>1) შესძინოს სტუდენტს საბაზისო ფილოლოგიური ცოდნა (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები, სლავისტიკის ძირითადი ცნებები და ტერმინოლოგიური სისტემა, სლავური კულტურის თავისებურებანი), გააცნოს მას შედარებითი და ტიპოლოგიური ფილოლოგიური კვლევების მეთოდოლოგიური მიდგომები, აზიაროს სლავური სამყაროს მნიშვნელობას თანამედროვე ინტეგრაციულ პროცესებში;</p> <p>2) მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა სლავური ფილოლოგიაში: რუსული ენა (B2 დონეზე), ლიტერატურა, კულტურა; და არჩეული პოლონური ენა, ლიტერატურა, კულტურა/ან/უკრაინული ენა, ლიტერატურა, კულტურა); შეასწავლოს ამ ენების ლექსიკური, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტური თავისებურებანი, შესაბამისი ლიტერატურების განვითარების ისტორიული ეტაპები, ჟანრები და სკოლები;</p> <p>3) განუვითაროს სტუდენტს ფილოლოგიური ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი, მხატვრული/ლიტერატურული, საქმიანი ქაღალდების და სხვა სტილისა და ჟანრის ტექსტების კრიტიკული ანალიზის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასკვნის უნარი, მიღებული ცოდნის ადაპტირებისა და ცვალებად გარემოში წარმატებულად გამოყენების უნარი;</p> <p>4) განუვითაროს სტუდენტს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი (პირველი სლავური ენის დონე B2, მეორე სლავური ენის დონე B1, ინგლისური ენა - შესაბამისი დონის კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი), მთარგმნელობითი საქმიანობის საბაზისო უნარ-ჩვევები, წარმატებული ინტრა- და ინტერკულტურული დიალოგის/პოლილოგის უნარ-ჩვევები;</p> <p>5) აღზარდოს, უნივერსიტეტის მისიიდან და დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ფილოლოგი-სლავისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების,</p>
----------	--



	აკადემიური კეთილსინდისიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიული ღირებულებისა და პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელსაც აქვს გამომუშავებული აქვს თვითშეფასებისა და დამოუკიდებელი სწავლის დაგეგმვის უნარ-ჩვევები. <i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზრის კვლევა (იხ. დანართი N5); • აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4).

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია III ¹⁶	ბსუ-მა უნდა აამოქმედოს პროგრამის მიზნების შემუშავების იმგვარი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ პროგრამების ხელმძღვანელების, არამედ აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში.
შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023) განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების, მათ შორის მიზნების/შედეგების შემუშავების პროცესში. ცხადია, არსებული წესი გვაწვდის ტექნიკური სახის ინფორმაციას თუ როგორ იგეგმება და ვინ მონაწილეობას არსებულ პროცესებში; თუმცა, საჭიროა წესის ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობისათვის, აღნიშნული პირები/მხარეები შესაბამისი პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, აქტიურად ერთვებოდნენ პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში (აკადემიური

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	პერსონალი, კურსთამთავრებულები, სტუდენტები, დამსაქმებლები...).
	<i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i>
მტკიცებულებ(ებ)ია	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023) (იხ. დანართი N6).

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია IV ¹⁷	მნიშვნელოვანია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამის მიზნებში (რომანული ფილოლოგიის გარდა) აისახოს თითოეული მათგანის ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება, პოტენციალი და პერსპექტივები.
შეფასება	რეკომენდაციის თანახმად საბაკალავრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ მიზნებში უფრო ვრცლად გაიწერა ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება, პოტენციალი და პერსპექტივები: საბაკალავრო პროგრამა „სლავური ფილოლოგია“ აქტუალურია თანამედროვე პოლიკულტურულ გლობალურ საზოგადოებაში და ორიენტირებულია ეროვნულ პრიორიტეტებსა და უნივერსიტეტის მისიაზე, ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციაზე სლავურ სამყაროში. ამას ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონე და მიმართულების პროფესორ-მასწავლებელთა მრავალფეროვანი საერთაშორისო თანამშრომლობა, კერძოდ: სამეცნიერო პროექტების მე-7 ჩარჩო პროგრამისა და ჰორიზონტ-2020, ერაზმუს + პროექტების ფარგლებში ჩამოყალიბდა აქტიური თანამშრომლობა შემდეგ ევროპულ უნივერსიტეტებთან: ბულგარეთის ნეოფიტ რილსკის სახელობის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი (ბლაგოვეგრადი), გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია), უკრაინის მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ოდესა, უკრაინა), სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უკრაინა), პიატიგორსკის ლინგვისტურ უნივერსიტეტთან, მაკედონიის ეროვნული ისტორიის ინსტიტუტი და სხვ. აგრეთვე

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>ერაზმუს+ პროგრამების ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობა გვაკავშირებს ბიდგოშის ეკონომიკის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ფაკულტეტთან (პოლონეთი), რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი), ვროცლავის უნივერსიტეტთან (პოლონეთი), მინიოს უნივერსიტეტთან (პორტუგალია) და სხვ. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პირები ხშირად ატარებენ ლექციებს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში, აგრეთვე ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები კითხულობენ სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტებისთვის ღია ლექციებს: ვროცლავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტის (სლოვაკეთი) და სხვ. პოლონური და უკრაინული ენების სწავლა/სწავლება, რუსული როგორც უცხო ენის სწავლების დიდი გამოცდილება და ახალ საგრანტო პროექტებში აქტიური მონაწილეობა მეტყველებს როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დიდ პოტენციალზე, ისე პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესაძლო პერსპექტივებზე.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
<p>რჩევა¹⁸ IV</p>	<p>სასურველია, პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მათში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვით.</p>
<p>შეფასება</p>	<p>რჩევა გაზიარებულია.</p> <p>უსდ-ს ინფორმაციით, პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე ერაზმუს + პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს ეწვია ვროცლავის უნივერსიტეტის პროფესორი და ჩაატარა ლექციები პროგრამის სტუდენტებისათვის. ასევე დაგეგმილია ნეოფიტ რილსკის სახელობის სამხრეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის (ბულგარეთი, ბლაგოევგრადი) ასოც. პროფესორების მოწვევა (მაგდალენა მლადენოვა და პეტარ ვოდენიჩაროვ).</p>

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4); • პროფ. იოანა კულას ლექცია https://bsu.edu.ge/main/page/18787/index <ul style="list-style-type: none"> • ბულგარელი პროფესორებს მოწვევის წერილები (იხ. დანართი N13).
------------------	---

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.1. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია V ¹⁹	პროგრამების სწავლის შედეგები მეტად უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.
შეფასება	<p>უსდ-ს მიერ განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება, რამაც გამოიწვია პროგრამის შედეგების მოდიფიცირება და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საბაკალავრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ კურსდამთავრებულს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აქვს სლავური ფილოლოგიის ფართო ცოდნა (ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების ცოდნა, სლავური კულტურის თავისებურებების ცოდნა), აყალიბებს და განმარტავს მნიშვნელოვან ფილოლოგიურ კონცეფციებთან დაკავშირებულ ცნებებს, ტერმინებს; აღწერს სლავური ფილოლოგიის ძირითად ლინგვისტურ და ლიტერატურულ საკითხებს; 2. მიმოიხილავს რუსული ენისა და არჩეული სლავური ენობრივი სისტემის (პოლონური/უკრაინული) ლექსიკურ, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სტილისტურ თავისებურებებს; ლიტერატურული თეორიის ძირითად ცნებებს, ჟანრების სპეციფიკას, ლიტერატურების განვითარების ისტორიული ეტაპებს, კულტურის ძირითად ასპექტებს, გათავისებული აქვს ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელობა და ეფექტური ინტრა- და ინტერკულტურული კომუნიკაციის (ზეპირი და წერილობითი) მნიშვნელობა; 3. იყენებს სპეციალიზაციის ენებს წერითი და ზეპირ კომუნიკაციის დროს (პირველი სლავური ენა - B2,

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მეორე სლავური ენა - B1 დონე) და ინგლისურ ენას პროფესიულ საქმიანობაში და საზოგადოებრივ სფეროში;</p> <p>4. იყენებს პროფესიულ საქმიანობაში დაკვირვებისა და კრიტიკული ანალიზის უნარ-ჩვევებს, მხატვრული/ლიტერატურული, საქმიანი საბუთების და სხვა ტიპის ტექსტების კრიტიკული ანალიზის უნარს, შეუძლია სლავური ფილოლოგიაში მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომებით, აქვს ადაპტირების უნარი ცვალებად პროფესიულ გარემოში;</p> <p>5. განსაზღვრავს და განასხვავებს სხვადასხვა კულტურას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, იყენებს ინტრა- და ინტერკულტურული კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხს;</p> <p>6. იყენებს სოციალიზაციისთვის აუცილებელ ზოგად უნარ-ჩვევებს (ტექსტთან მუშაობის უნარ-ჩვევები, ტექსტური ინფორმაციის აღქმის და მოკლედ გადმოცემის, მისი თარგმნისა და ინტერპრეტაციის უნარი; პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვის არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, არგუმენტირებული დასკვნების უნარი); იყენებს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მიზნით თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს;</p> <p>7. ახორციელებს კვლევითი ან გამოყენებითი ხასიათის ნაშრომს სლავურ ფილოლოგიაში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად (რეფერატი, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.), შეუძლია ლიტერატურის მიმოხილვა, მონაცემების შეგროვება, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება და შედეგების პრეზენტაციის სახით წარმოდგენა; მონაწილეობს დისკუსიებში ქართული და სლავური ლინგვოკულტურული პრობლემების ირგვლივ, ახდენს პროფესიულ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხოურ ენებზე არგუმენტირებულ კომუნიკაციას.</p> <p>8. აღიარებს და იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. პატივს სცემს ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს, ქართულ და სხვა კულტურულ მემკვიდრეობასა და ფასეულობებს.</p> <p>9. ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ავლენს შეძენილი ცოდნის</p>
--	---



	<p>გაღრმავებისა/სრულყოფისთვის თვითშეფასებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარს, დროის მართვის უნარს;</p> <p>10. წარმატებით იყენებს პოლიკულტურული პიროვნების თვისებებს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ავლენს ნაცნობ და უცნობ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს, მაღალ მოქალაქეობრივი შეგნებას და ტოლერანტობას.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4).

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია VI ²⁰	პროგრამის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა წინარეცოდნის გასათვალისწინებლად საჭიროა ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს არჩევითი სტატუსი.
შეფასება	<p>უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საბაკალავრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭა არჩევითი სტატუსი. ამას გარდა, იმავე, არჩევითის სტატუსით, დაემატა ხუთი არჩევითი სასწავლო კურსი: „რუსული ორთოგრაფიისა და ორთოეპიის სირთულეები“, „პრაქტიკული რუსული ენის ლექსიკაში“, „რუსული ინტერნეტ-ტექსტების ენის თავისებურებები“, „რუსული გრამატიკის სირთულეები 1“, „რუსული გრამატიკის სირთულეები 2“. თითოეული სასწავლო კურსი არის 5-კრედიტიანი და მათი სწავლების პერიოდად განისაზღვრა შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრი. სტუდენტს აქვს საშუალება მისი წინარეცოდნის გათვალისწინებით აირჩიოს შესაბამისი დონის</p>

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>პრაქტიკული ენის კურსი, ან სასწავლო კურსის ზემოთ ჩამოთვლილ არჩევით საგანთა შორის.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა(იხ. დანართი N4).

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია VII ²¹	ენის შესწავლის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტესტირება ენის ცოდნის დონის დასადგენად, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ენის შესწავლა შესაბამისი საფეხურიდან.
შეფასება	<p>როგორც უკვე აღინიშნა, უსდ-მ სასწავლო კურსებს: “ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსები A2.1, A2.2, B1.1, B1.2 და B2.1” მიენიჭა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსი.</p> <p>2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში პირველკურსელ სტუდენტებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომლის შედეგად დადგინდა თითოეული მათგანის ინგლისური ენის ფლობის (ენობრივი კომპეტენციის) დონე. შესაბამისად, სტუდენტები გადანაწილდნენ ჯგუფებში ენობრივი კომპეტენციის დონის მიხედვით.</p> <p>ამდენად, პროგრამა გახდა უფრო მოქნილი, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გაიარონ ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის დონე წინარე ცოდნის გათვალისწინებით.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა(იხ. დანართი N4).

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5.სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია VIII ²²	ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით და პროგრამებში ფუნქციური დუბლირებების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ენის კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე (თითო ქვესაფეხურის დასაძლევად საკონტაქტო საათების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს კვირაში 6-8 საათზე ნაკლები).
შეფასება	რეკომენდაციისა და ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით, განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და გაიზარდა ენის კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა (არსებული 75 სთ ნაცვლად გახდა 90 სთ, ანუ კვირაში 6 შეხვედრა). <i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა(იხ. დანართი N4); სილაბუსები (იხ. დანართი N7).

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია IX ²³	მნიშვნელოვანია, პროფესორ-მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვრონ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები თავიანთი კურსებისთვის ამ უკანასკნელთა მიზნების, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით.

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	<p>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023) და სასაწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დადგენილება N111 8 ოქტომბერი, 2015 წელი) გვაწვდის ინფორმაციას შესაძლო სწავლა-სწავლების მეთოდების აპლიკაციის შესახებ, სადაც დეკლარირებულია, რომ პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა თვითონ განსაზღვრონ და გამოიყენონ სწავლა-სწავლებისა და შეფასების ის ფორმები, რომლებიც რელევანტურია სასაწავლო კურსის შინაარსთან და მაქსიმალურად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უსდ ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებსა და შეხვედრებს ამ მიმართულებით (ტრენინგი - „ამობრუნებული სასაწავლო ოთახის მოდელი ინლაინ- სწავლებაში“).</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023 (იხ. დანართი N6); • დადგენილება N111- 8 ოქტომბერი, 2015 წელი (იხ. დანართი N8); • 2023 წლის 11 მაისის ბრძანება N01-04/43 ტრენინგებზე „ამობრუნებული სასაწავლო ოთახის მოდელი ინლაინ- სწავლებაში“ (იხ. დანართი N9); • ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგ-მოდულების ციკლი- https://bsu.edu.ge/sub-27/page/19808/index.html • ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი N10).

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია X ²⁴	სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, სწავლება წარიმართოს სტუდენტზე ორიენტირებული, მათ შორის ელექტორული

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.</p>
<p>შეფასება</p>	<p>სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების წარმართვისათვის უსდ-მ დაგეგმა და განახორციელა თემატური ტრენინგები; კერძოდ, 2023 წლის 08-12 მაისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პროფესიული განვითარების კურსი. კურსის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: რა არის აქტიური სწავლა და რატომაა მისი დანერგვა მიზანშეწონილი ახალ თაობასთან მუშაობაში; გააცნობიერეს, როგორი უპირატესობები აქვს ამობრუნებულ საკლასო ოთახს ონლაინ-სწავლების ფორმატში და რატომაა იგი უფრო შედეგიანი, ვიდრე ტრადიციული საკლასო ოთახი; გაეცნენ ღია საგანმანათლებლო რესურსებს (Open Educational Resources) და მათი გამოყენების სამართლებრივ ასპექტებს; პრაქტიკაში გამოცადეს (Learning by Doing) სწავლების ციფრული ხელსაწყოები. კურსის ფარგლებში გაიმართა მსჯელობა შეფასების მეთოდების მოდიფიკაციის საჭიროებასა და უკუკავშირის (Feedback) მნიშვნელობაზე; გაირკვა განსხვავება განმავითარებელსა (formative assessment) და შემაჯამებელ (summative assessment) შეფასებებს შორის; განიხილეს თვითშეფასების, კოლეგიალური შეფასებისა და მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი შეფასების მეთოდები; მოსინჯეს ონლაინ-ხელსაწყოები, რომლებსაც გამოიყენებენ შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა 2023-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაიწყეს აღნიშნული მეთოდის გამოყენება რიგ სასწავლო კურსებში. 2023 წლის 4-5 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგ-მოდულების ციკლის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი თემაზე: „როგორ გავხადოთ ლექცია/სემინარი ინტერაქტიული(სწავლების აქტიური მეთოდები)“.</p>



	რეკომენდაცია გათვალისწინებულია.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ტრენინგი- „ამობრუნებული საკლასო ოთახი“ https://bsu.edu.ge/sub-8/page/18750/index.html / ბრძანება; • ტრენინგი- „სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მიდგომები(მაგ. დიგიტალიზაცია);“ https://bsu.edu.ge/main/page/19650/index.html; • ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგ-მოდულების ციკლი- https://bsu.edu.ge/sub-27/page/19808/index.html; • ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი N10).

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია XI ²⁵	ბსუ-მა უნდა იზრუნოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პრაქტიკის დანერგვაზე.
შეფასება	<p>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ ბსუ უზრუნველყოფს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების მოდიფიცირებას, სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის შეფასების სათანადო ფორმებისა და მოქნილი სწავლება/სწავლის მეთოდების შემუშავებას. სტუდენტის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმით განისაზღვრება სასწავლო კურსების მიზნები, ამოცანები და განხორციელების პროცედურები.</p> <p>ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფაკულტეტის საბჭოს მიერ შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს</p>

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>2 კვირისა. სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.“ 2019 წლიდან 2023 წლის ჩათვლით ბსუ-ში შშმ პირთა საჭიროებები ძირითადად განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით: ორთოპედიული დაზიანება, თავის ტვინის ტრამვა, მხედველობის დაზიანება და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის დარღვევები. არსებულის გათვალისწინებით, უსდ-მ შეიძინა პორტატული ვიდეო გამადიდებელი, ხელის ვიდეო გამადიდებელი, ბრაილის ნოუთთეიქერი, დეიზი ფლეიერი, მექანიკური ბრაილერი, ტაქტილური სახაზავი კომპლექტები, ბრაილის დაფა ფანქრით, თეთრი ხელჯოხები, ბრაილის ფურცლები, ფოლიები, პენფრენდი, ლედ სანათი, მონოკულარული გამადიდებელი, მცირედმხედველობის სიმულატორი, ტაქტილური სანტიმეტრი, ფონაკ როჯერის კალამი და სხვა.</p> <p><i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023 (იხ. დანართი N6); • ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა სტატისტიკური მონაცემები (იხ. დანართი N11); • ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩატარებული ტრენინგები (იხ. დანართი N12); • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (იხ. დანართი 24).

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. სტუდენტის შეფასება
რეკომენდაცია XII ²⁶	პროგრამაში უნდა დაიშვას შეფასების მეთოდებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის თითოეული შედეგის შეფასება სასწავლო კურსის ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით.
შეფასება	უსდ-ს ინფორმაციით, რამდენიმე სასწავლო კურსში - სლავური ფილოლოგიის შესავალი, თანამედროვე

²⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>რუსული ენის მორფოლოგია, წერითი მეტყველება, თანამედროვე რუსული ენის მორფემიკა და სიტყვათწარმოება - მოდიფიცირება / დარედაქტირება სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, რაც, ცხადია, მისასაღებელი პრაქტიკაა. თუმცა, მსგავსი ტიპის ცვლილებას საჭიროებს პროგრამის სხვა, კომპეტენციის მაფორმირებელი სასწავლო კურსების შეფასების მეთოდებისა და კომპონენტების ნაწილიც სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.</p> <p><i>რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია.</i></p>
რჩევა ²⁷ XII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4); სილაბუსები (იხ. დანართი N7);

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. სტუდენტის შეფასება
რეკომენდაცია XIII ²⁸	ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები იწერებოდეს ქართულ ენაზე.
შეფასება	<p>ბსუ-ს 2015 წლის 8 ოქტომბრის N 111 დადგენილებით, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულება განსაზღვრულია ქართულ ენაზე; უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს წარმოდგენილ სილაბუსებში ფიქსირდებოდა ტექნიკური სახის ხარვეზი, რაც გასწორებულია.</p> <p><i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> დადგენილება N111- 8 ოქტომბერი, 2015 წელი (იხ. დანართი N8); აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ - პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4);

²⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<ul style="list-style-type: none"> • სილაბუსები (იხ. დანართი N7);
სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1.სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია XIV ²⁹	მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ბაზების გაცნობა სტუდენტებისათვის და მათი გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით;
შეფასება	<p>არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უსდ-მ აქტიურად დაიწყო მუშაობა როგორც სტუდენტებთან ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან.</p> <p>2023 წლის 18-19 აპრილს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიცირებითა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ბსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სამეცნიერო ონლაინ-რესურსები და საერთშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება“. ასევე უსდ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში ყოველწლიურად იმართება შეხვედრები სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან სამეცნიერო ბაზების გაცნობასა და მათი გამოყენების თავისებურებებებთან დაკავშირებით.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
რჩევა ³⁰ XIV	საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის მიზნით სასურველია უცხოელი მოწვეული ლექტორების (native speakers) სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.
შეფასება	<p>რჩევა ნაწილობრივ გაზიარებულია.</p> <p>უსდ-ს ინფორმაციით, „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის</p>

²⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>გადლიერების მიზნით, უსდ აქტიურად თანამშრომლობს DAAD-სა და გოეთეს ინსტიტუტთან თბილისში, ასევე უსდ-ს მხარდაჭერა აქვს ერაზმუს + პროექტებში მონაწილეობის კუთხით, ხოლო 2024 გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილია მიუნსტერის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის პრაქტიკა ბსუ-ში, რომელიც ჩაერთვება სასწავლო პროცესში. ცხადია, პროგრამისათვის მსგავსი ტიპის აქტივობები დადებითად ფასდება, თუმცა რჩევა ითვალისწინებს <i>უცხოელი მოწვეული ლექტორების</i> (native speakers) სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას.</p>
<p>მტკიცებულებ(ებ)ა</p>	<ul style="list-style-type: none"> • საორიენტაციო შეხვედრა სტუდენტებისათვის- https://bsu.edu.ge/sub-15/page/19546/index.html; ტრენინგი- „სამეცნიერო ონლაინ-რესურსები და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება“ https://bsu.edu.ge/sub-8/page/18654/index.html.

<p>სტანდარტის დასახელება</p>	<p>4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</p>
<p>კომპონენტის დასახელება</p>	<p>4.1.ადამიანური რესურსი</p>
<p>რეკომენდაცია XV ³¹</p>	<p>კლასტერში გაერთიანებული პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე დაკისრებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, შემცირდეს პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვა იმგვარად, რომ მათ რჩებოდეთ დრო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.</p>
<p>შეფასება</p>	<p>ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც აღწერილია <i>აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესში</i>. ამ წესით განისაზღვრება სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა ყოველწლიური დატვირთვა 300, 350 და 370 საათით, რაც საშუალოდ შეესაბამება ყოველკვირეულ პედაგოგიურ დატვირთვას 10, 11 და 12 საათის</p>

³¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



ოდენობით. ასევე გამოიყოფა სამი სხვადასხვა ტიპის (ა, ბ, გ) დატვირთვა იმის მიხედვით, რამდენად აფილირებულია პროფესორი (ა), რამდენად ჩართულია იგი ადმინისტრაციულ საქმიანობაში (ბ) და რამდენად დატვირთულია იგი სხვა უსდ-ში (გ). ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, დატვირთვების ამგვარი დიფერენციაცია ემსახურება არააფილირებული აკადემიური პერსონალის შეკავშირებას ბსუ-სთან. ამავე წესით დადგენილია სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა სხვადასხვა საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო), მიმართულების (საბუნებისმეტყველო და სხვა), ფორმატის (სალექციო, სასემინარო), სტატუსის (სავალდებულო, არჩევითი) ან პროგრამის ტიპის (ძირითადი, დამატებითი) მიხედვით. მაგალითად, საბაკალავრო საფეხურზე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს 15-ზე ნაკლები, მაგისტრატურაში კი — 5-ზე ნაკლები. კლასტერში გაერთიანებულ ზოგ პროგრამაზე ამჟამადაც და სავარაუდოდ მომავალშიც შეიძლება ვერ მოხერხდეს სტუდენტთა ასეთი კონტინგენტის დაკომპლექტება ცალკეულ საგნებზე (და პროგრამებზეც). თუმცა ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, მცირერიცხოვანი კონტინგენტის მქონე პროგრამების შესანარჩუნებლად აკადემიური საბჭოს ყოველწლიური დადგენილებით დაიშვება გამონაკლისი ამ წესში. ასევე ინდივიდუალურად და მიზეზების გარკვევის საფუძველზე წყდება ანაზღაურების შენარჩუნების საკითხი იმ პროფესორ-მასწავლებელთა შემთხვევაში, რომლებმაც ვერ შეძლეს მინიმალური დატვირთვის შესრულება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმდინარე სასწავლო წლის დატვირთვის დოკუმენტში თავი იჩინა ამგვარმა მოცემულობამ: სრულ პროფესორთა მინიმალური დატვირთვა მერყეობს 285-დან 580 საათამდე (ე.ი. დაახლ. 19 საათი კვირაში); ასოცირებულ პროფესორთა დატვირთვა მერყეობს 145-დან 670 საათამდე (ე.ი. დაახლ. 22 საათი კვირაში); ასისტენტ-



	<p>პროფესორთა დატვირთვა კი — 310-დან 510 საათამდე (ე.ი. დაახლ. 17 საათი კვირაში). დატვირთვის ქვედა მაჩვენებლები ძირითადად განპირობებულია ადმინისტრაციული დატვირთვის შეთავსებით (ზ კატეგორიის დატვირთვა). მაგრამ დატვირთვის ზედა მაჩვენებლები საკმაოდ დამაფიქრებელია იმის გათვალისწინებით, რომ ბსუ-ის ადმინისტრაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან ელის სამეცნიერო-კვლევით აქტიურობასაც, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად საგანგებოდ ფასდება (იხ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი). ამასთან, დატვირთვის ზედა მაჩვენებელი სავარაუდოდ დამატებით გაიზრდება ახალი პროგრამების ამოქმედების შემდეგ (წარმოდგენილ კლასტერში ასეთია 5 პროგრამა).</p> <p><i>რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული.</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი“ (იხ. დანართი N14); • ბრძანება N01-04/65 28 აპრილი, 2023 (იხ. დანართი N15); • ბრძანება N01-04/147 02 ოქტომბერი, 2023 (იხ. დანართი N16).

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1.ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია XVI ³²	თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით მნიშვნელოვანია, ბსუ-ში მოქმედებდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის უფრო კონკრეტული მეთოდოლოგია,

³² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>რომელიც აისახება შესაბამის წესში და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, თითოეულ პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელ და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ავილირებულ პროფესორთა რაოდენობა დაიგეგმოს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად.</p>
შეფასება	<p>პროფესორების რაოდენობა ამჟამინდელი მოცემულობით სავსებით საკმარისი ჩანს იმისთვის, რომ ბაკალავრებსა და მაგისტრანტებს დაუბრკოლებლად გაეწიოთ ხელმძღვანელობა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას. ეს დადასტურდა ინტერვიუებზეც: სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს ხელმძღვანელობაზე უარის ვერც ერთი შემთხვევა. პროფესორთა და სტუდენტთა თანაფარდობა იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ სტუდენტებმა მიიღონ ჯეროვანი და დროული უკუკავშირი შესრულებულ დავალებებზე. ამისთვის უმეტესწილად გამოიყენება სასწავლო პორტალი და Moodle-ში ნაშრომების კომენტარების შესაძლებლობა. თუმცა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობათა ესოდენ მკვეთრი განსხვავებულობა კლასტერის სხვადასხვა პროგრამაზე მიანიშნებს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ბუნდოვანებაზე. მართლაც, ბსუ-ის აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის წესი ძალზე ზოგადია იმისთვის, რომ გამოდგეს თუნდაც სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტად აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსასაზღვრად კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. ამასთან, ზემოთ წარმოდგენილ მაჩვენებლებზე დაკვირვების შედეგად აშკარავდება, რომ ვერ სრულდება ვერც აღნიშნული წესის მუხლი 2.2., რომლის მიხედვითაც, „საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად“.</p> <p><i>რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული.</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით N3 „ბსუ-ს აკადემიური</p>



	პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ (იხ. დანართი N17).
--	---

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1.ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია XVII ³³	პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, ბსუ-მა სისტემატურად შეისწავლოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები, გააანალიზოს ისინი და ანალიზის შედეგები გამოიყენოს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
შეფასება	უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები ყოველწლიურად აღრიცხავენ და აანალიზებენ პროგრამის განმახორციელებელი პირების დენადობის მაჩვენებელს და შესაბამის დასკვნების საფუძველზე განსაზღვრავენ პროგრამის მდგრადობის ხარისხს. თუმცა, არსებული რეკომენდაცია გულისხმობს არსებული ანალიზის შედეგების გამოყენებას პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. <i>რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული.</i>
მტკიცებულებ(ებ)ა	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023) (იხ დანართი N6).

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1.ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია XVIII ³⁴	მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ჩართული იყვნენ სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამების შეფასების პროცესში იმგვარად, რომ მათ მიერ

³³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	თავიანთ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები ნაკარნახევი იყოს პროგრამების შეფასების ანალიზის შედეგებით.
შეფასება	<p>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება პროგრამების ხელმძღვანელების მიერ ხდება ყოველი სასწავლო წლის დასასრულისათვის წლიური ანგარიშის ფორმით, რომელიც განთავსდება სტუდენტური პორტალის, საგანმანათლებლო პროგრამების პორტფოლიოს ვებზე. წლიური ანგარიშის სახით პროგრამის ხელმძღვანელები აფასებენ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგებს, გამოკითხვების შედეგებს, აკეთებენ SWOT ანალიზს, შეიმუშავენ სამოქმედო გეგმას და სხვ.</p> <p><i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი (დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023) (იხ დანართი N6)

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 .აკადემიური, სამეცნიერო და პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია XIX ³⁵	მნიშვნელოვანია, აკადემიური პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევა განხორციელდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამუშაო ჯგუფის მიერ იმგვარად, რომ წარმოჩნდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონკრეტული საჭიროებები.
შეფასება	<p>ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკის დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალი (გარდა ასისტენტისა) ავსებს ბსუ-ს ელექტრონულ პორტალზე (www.portal.bsu.edu.ge/sa) სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმას. შეფასებაზე</p>

³⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>პასუხისმგებელი პირები (სამეცნიერო კვლევების სამსახური, რექტორის მოადგილე, დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) ადასტურებენ დასაქმებულის თვითშეფასების თითოეული კომპონენტის შესაბამის აქტივობას. პასუხისმგებელი პირების დადასტურების და შესაბამისი მინიჭებული ქულების საფუძველზე დასაქმებულის ყოველწლიური საბოლოო შეფასება ხორციელდება პროგრამულად ელექტრონული პორტალის (www.portal.bsue.edu.ge/sa) საშუალებით. ბსუ-ს ხარისხის სამსახურის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია პერსონალის შეფასება და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა. აღნიშნული პოლიტიკის მექანიზმები მუხლი „პერსონალის შეფასება და პროფესიული წინსვლა“ განსაზღვრავს პერსონალის შეფასების და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობის მექანიზმებს. პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის ხორციელდება პერიოდული კვლევების წარმოება და ანალიზი. ანალიზის საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სამეცნიერო კვლევების სამსახურთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.</p> <p>რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული.</p>
<p>რჩევა³⁶ XIX</p>	<p>აკადემიურ პერსონალს, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარდეს პერიოდულად კონსულტაციები შეფასების სისტემის არსებული გაიდლაინებისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების გაცნობის მიზნით.</p>
<p>შეფასება</p>	<p>რჩევა გაზიარებულია.</p> <p>უსდ-ს ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის სამსახურის ინიციატივით 2023 წელს ჩატარდა სხვადასხვა თემატური ტრენინგები, სემინარები ვორქშოფები აკადემიური და მოწვეული პირებისათვის მათი საქმიანობების გათვალისწინებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრენინგი „ამობრუნებული საკლასო ოთახი“;

³⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<ul style="list-style-type: none"> • ტრენინგი „სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მიდგომები(მაგ. დიგიტალიზაცია); • ტრენინგ-მოდულების ციკლი: <ol style="list-style-type: none"> 1) „როგორ მოვამზადოთ საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციისთვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად“ – 15-14 ნოემბერი; 2) „როგორ დავწეროთ სასწავლო დაწესებულების მისია, ხედვა, სტრატეგიული განვითარება და სამოქმედო გეგმა“- 28 ნოემბერი; 3) „კვლევის სწორად დაგეგმვა, განხორციელება და შეფასების ვალიდური მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ – 02 დეკემბერი; 4) „როგორ დავგეგმოთ შრომის ბაზრის კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის“ - 27 ნოემბერი; 5) „როგორ გავწეროთ საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსებში კომპონენტებში სწავლის შედეგები ვალიდურად/როგორ იყოს წავლის შედეგები გაზომვადი“ 16,17,18 და 20 ნოემბერი; 6) „როგორ გავხადოთ ლექცია/სემინარი ინტერაქტიული (სწავლების აქტიური მეთოდები)“ – 4-5 დეკემბერი; 7) „საგრანტო განაცხადის წერა - სტრატეგია და ტექნიკები“ – 18-19 დეკემბერი; 8) „HR სტრატეგია და იურიდიული რეგულაციები პერსონალის მართვის პროცესში“ - 13 დეკემბერი; 9) „პერსონალის განვითარება და ორგანიზაციული კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ - 12 დეკემბერი.
<p>მტკიცებულებ(ებ)ა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი (იხ. დანართი N18); • ხარისხის სამსახურის პოლიტა (იხ. დანართი N19); • ტრენინგი- „ამობრუნებული საკლასო ოთახი“ https://bsu.edu.ge/sub-8/page/18750/index.html / ბრძანება; • ტრენინგი- „სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მიდგომები(მაგ. დიგიტალიზაცია);“ https://bsu.edu.ge/main/page/19650/index.html;



	<ul style="list-style-type: none"> • ტრენინგი- „სამეცნიერო ონლაინ-რესურსები და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება“ https://bsu.edu.ge/sub-8/page/18654/index.html; • ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგ-მოდულების ციკლი- https://bsu.edu.ge/sub-27/page/19808/index.html
--	--

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია XX ³⁷	კვლევის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად საჭიროა, შემცირდეს პროფესორთა აკადემიური დატვირთვა, მათთვის გამოიყოს სამუშაო სივრცე (კაბინეტები კომპიუტერული აღჭურვილობით) და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად ისარგებლონ ხანგრძლივი (რამდენიმეთვიანი, ერთსემესტრიანი) აკადემიური მივლინებებით (ინგლ. sabbatical).
შეფასება	<p>რეკომენდაციის პირველი ნაწილი - კვლევის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად საჭიროა, შემცირდეს პროფესორთა აკადემიური დატვირთვა -არ არის გაზიარებული უსდ-ს მიერ.</p> <p>რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, ის გაზიარებულია. კერძოდ, 2023 წელს ბსუ-ს მიერ შესყიდულ იქნა 41050 ლარის ოდენობის კომპიუტერული ტექნიკა, ასევე 17020 ლარის ოდენობის სხვა ტექნიკური მხარდაჭერა განხორციელდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის. 2024 წლის ბიუჯეტიც ითვალისწინებს შესაბამის ხარჯს, ბიუჯეტის ქვეპროგრამა “ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი“ მე-5 პუნქტით „დარგობრივ დეპარტამენტებსა და ლაბორატორიებში არსებული ტექნიკის გაუმჯობესება“ ითვალისწინებს 70 000 ლარს.</p> <p><i>რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია.</i></p>

³⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი“ (იხ. დანართი N14); • ბრძანება N 01-10/61 09.07.2022 „ბსუ-ს პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ (იხ. დანართი N20); • ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი N10).
------------------	---

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 .მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია XXI ³⁸	საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად ბსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საერთო ონლაინ-კატალოგში უნდა იქმნებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სხვა სასწავლო მასალა.
შეფასება	<p>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბიბლიოთეკის დასკვნის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სასწავლო მასალა ფიქსირდება ბსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და ონლაინ კატალოგში. ასევე სილაბუსებში ძირითად ლიტერატურაში გამოყენებული წიგნები ინახება ბსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის ბიბლიოთეკაში. ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებში დამატებული სასწავლო მასალა დაემატა ელექტრონულ ბიბლიოთეკას.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათი(იხ. დანართი N 22); ბიბლიოთეკის დოკ. (დანართი N 23).

³⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 .მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია XXII ³⁹	იმისთვის, რათა ენის დაუფლების სფეროსთან დაკავშირებული ახალი და უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგები გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად, ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება მათთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსებისა და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ
შეფასება	<p>2023 წლის 18-19 აპრილს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიცირებითა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ბსუ-ს პროფესორ- მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „სამეცნიერო ონლაინ-რესურსები და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება“. ტრენინგს უძღვებოდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი თავაძე. ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებებით არსებულ სამეცნიერო ბაზებს, ელექტრონულ კატალოგებთან მუშაობის წესებს, სამეცნიერო ინსტიტუტების, გამომცემლობებისა და სხვა სამეცნიერო ინტერნეტ-რესურსების მოძიების ხერხებსა და იქ არსებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდებს.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • საორიენტაციო შეხვედრა სტუდენტებისათვის- https://bsu.edu.ge/sub-15/page/19546/index.html; • ტრენინგი- „სამეცნიერო ონლაინ-რესურსები და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება“ https://bsu.edu.ge/sub-8/page/18654/index.html

³⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია XXIII ⁴⁰	გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, სადაც აისახება კლასტერული აკრედიტაციის ჩარჩოში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესები, პროცედურები და თანმხლები დოკუმენტები.
შეფასება	<p>უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2022-2023 წლებში განხორციელებული კლასტერული აკრედიტაციების („ენის დაუფლების“, „ფილოლოგიისა“ და „ისტორი-არქეოლოგიის“) პროცესში მიღებული გამოცდილებების ანალიზისა და გაზიარების საფუძველზე მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესში, აღნიშნული ცვლილებების ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს კლასტერული აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ერთიანი მიდგომების დაცვას და პროცესის უფრო ეფექტურ წარმართავს.</p> <p><i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • კლასტერის ფორმირების და თვითშეფასების მომზადების მეთოდოლოგია (იხ. დანართი N21); • ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგ-მოდულების ციკლი- https://bsu.edu.ge/sub-27/page/19808/index.html; • ტრენინგი- „სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მიდგომები(მაგ. დიგიტალიზაცია); https://bsu.edu.ge/main/page/19650/index.html

⁴⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია XXIV ⁴¹	სლავური ფილოლოგიის პროგრამაში ფილოლოგიური კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ენათმეცნიერულ კომპეტენციებთან ერთად სათანადო ყურადღება და ადგილი დაეთმოს ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც.
შეფასება	უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიკაცია და ენათმეცნიერულ კომპეტენციებთან ერთად სათანადო ყურადღება დაეთმო ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც. <i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i>
მტკიცებულებ(ებ)ია	აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ- პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4).

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია XXV ⁴²	აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
შეფასება	არსებული რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამაში შევიდა გარკვეული ტიპის ცვლილებები; კერძოდ, არჩევითი კურსები უფრო მრავალფეროვანი გახდა, დაემატა შემდეგი დისციპლინები: „რუსული

⁴¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

⁴² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>ორთოგრაფიისა და ორთოეპიის სირთულეები“, „პრაქტიკული რუსული ენის ლექსიკაში“, „რუსული ინტერნეტ-ტექსტების ენის თავისებურებები“, „რუსული გრამატიკის სირთულეები 1“, „რუსული გრამატიკის სირთულეები 2“. აგრეთვე, პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დამატებულია არჩევითი კურსები „ევროკავშირი და ევროპული ინტეგრაცია“, „მსოფლიო კულტურის ისტორია“. ცხადია, არსებული ცვლილებები დაეხმარება სტუდენტებს თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.</p> <p><i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i></p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ- პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4).</p>

სტანდარტის დასახელება	1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია XXVI ⁴³	მნიშვნელოვანია, რომ სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო კურსზე/საგნებზე დაშვების წინაპირობა იყოს დასამუშავებელი ლიტერატურისა და კურსის ასათვისებლად საჭირო წინარეცოდნის ადეკვატური.
შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა წინაპირობა - ენობრივი დონე ან შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ასევე საყურადღებოა რიგი ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა სავალდებულო კურსების წინაპირობების ნაწილში; კერძოდ, სლავური ენების შედარებითი გრამატიკის წინაპირობად განისაზღვრა - სლავური ფილოლოგიის შესავალი; რუსული

⁴³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>გრამატიკის სირთულეები 2-ის წინაპირობად განისაზღვრა - რუსული გრამატიკის სირთულეები 1 და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დაემატა შემდეგი წინაპირობა: „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურს(ებ)ი 195 კრედიტის ოდენობით“.</p> <p>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</p>
რჩევა ⁴⁴ XXVI	<p>სწავლის შედეგების მისაღწევად სავსებით საკმარისი იქნებოდა, სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითო ან ორ-ორი მსხვილი (5-6-კრედიტიანი) კურსი დათმობოდა თითოეულ სლავურ ენაზე შექმნილ ლიტერატურასა და სლავური ენების შედარებითი ენათმეცნიერული კვლევის საკითხებს</p>
შეფასება	<p>რჩევა გაზიარებულია.</p> <p>პროგრამაში ინტეგრირებულია სასწავლო კურსების - სლავური ფილოლოგიის შესავალი (4 კრ.) და სლავური ენების შედარებითი გრამატიკა (3 კრ.) აგრეთვე არჩევითი კურსების ბლოკში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ საგანი „აქტუალური ტენდენციები თანამედროვე სლავურ ენებში“ (3 კრ.). ასევე საყურადღებოა პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ აიღონ სასწავლო კურსები, რომლებიც ეთმობა ლიტერატურასა და სლავური ენების შედარებითი ენათმეცნიერული კვლევის საკითხებს („სლავური (პოლონური) ლიტერატურა“ (4 კრ.), „სლავური (უკრაინული) ლიტერატურა“ (4 კრ.).</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ- პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4).</p>

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი

⁴⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია XXVII ⁴⁵	სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსი უნდა გადაიხედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობა.
შეფასება	უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ, არსებული რეკომენდაციის საფუძველზე, გადაიხედა პროგრამა და სასწავლო კურსები და დაზუსტდა კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება (სლავური ფილოლოგიის შესავალი; სლავური ენების შედარებითი გრამატიკა; აქტუალური ტენდენციები სლავურ ენებში და სხვა). გარდა ამისა, გამდიდრა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკები <i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i>
მტკიცებულებ(ებ)ა	აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ- პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4).

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია XXVIII ⁴⁶	სლავური ფილოლოგიის პროგრამაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა უნდა იყოს ადეკვატური და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის ინდივიდუალურ (!) სპეციფიკას.
შეფასება	უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ გაზრდილია საკონტაქტო საათების რაოდენობა, კერძოდ: 5 კრედიტიან საგანში, რომელიც 125 სთ ითვალისწინებს, 90 სთ ეთმობა აუდიტორიაში მუშაობას და 35 სთ კი - დამოუკიდებელ მუშაობას. ანუ ერთი კრედიტის 25

⁴⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

⁴⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>საათიდან 18 სთ - საკონტაქტოა. თეორიულ დისციპლინებში კი ერთი კრედიტის 25 საათიდან 10 საათი საკონტაქტოა, 15 კი - განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის. თეორიულ საგნებშიც ეს შეფარდება იცვლება კონკრეტული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ასათვისებლად გამოყოფილია 4 კრედიტი, 100 სთ, აქედან 45 სთ საკონტაქტოა, 55 კი - დამოუკიდებელი.</p> <p>ენათმეცნიერების შესავალში კი იგივე 4 კრედიტის 100 სთ განაწილება შემდეგია: 60 სთ ეთმობა საკონტაქტო მუშაობას, 40 კი - დამოუკიდებელ მუშაობას.</p> <p><i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i></p>
რჩევა ⁴⁷ XXVIII	<p>სასურველია, სლავური ფილოლოგიის თეორიული კურსების შემთხვევაში გამოიყოს მეტი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რაც უნდა აისახოს მათთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობაზეც.</p>
შეფასება	<p><i>რჩევა გაზიარებულია.</i></p> <p>უსდ-ს ინფორმაციით, თეორიული დისციპლინების შესწავლისას ერთი კრედიტის 25 საათიდან 10 საათი ეთმობა აუდიტორიაში მუშაობას, 15 კი - განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის, ენის ათვისების პრაქტიკულ კურსებში კი გაზრდილია საკონტაქტო საათები (18 სთ, დამოუკიდებელი მუშაობისთვის 7 სთ.).</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილებების შესახებ- პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4); • სილაბუსები (იხ. დანართი N7).

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია XXIX ⁴⁸	<p>სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგებთან სასწავლო მასალის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, სილაბუსებში სამეცნიერო წყაროებთან ერთად მითითებული იყოს</p>

⁴⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

⁴⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	დაკვირვების ობიექტად გამოსადეგი პირველადი წყაროებიც / საკვლევო ტექსტებიც.
შეფასება	უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ რიგ სასწავლო კურსებსში („მე-19 ს. რუსული ლიტერატურა“; „მე-20 და 21 სს. რუსული ლიტერატურა“; „სლავური ლიტერატურა“ და სხვ.) სამეცნიერო წყაროებთან ერთად მითითებულ იქნა დაკვირვების ობიექტად გამოსადეგი პირველადი წყაროებიც / საკვლევო ტექსტებიც. <i>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</i>
რჩევა ⁴⁹ XXIX	პროგრამაში, რომელსაც სლავისტიკის პროფილი აქვს, უნდა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ რუსულენოვანი, არამედ სხვა (სლავურ) ენებზე შექმნილი სამეცნიერო წყაროებიც.
შეფასება	<i>რჩევა არ არის გაზიარებული.</i> უსდ-ს ინფორმაციით, რუსულენოვანი სამეცნიერო წყაროების გარდა სლავური ფილოლოგიის პროგრამაში გამოყენებულია ქართულენოვანი სამეცნიერო წყაროები და შეძლებისდაგვარად პოლონური და უკრაინული წყაროებიც, რომლის რაოდენობა, ობიექტური მიზეზების გამო, შედარებით მცირეა, ვიდრე რუსულენოვანი.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ- პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4); სილაბუსები (იხ. დანართი N7).

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია XXX ⁵⁰	სლავური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე სლავური (რუსული, პოლონური და უკრაინული) ენისა და ლიტერატურის

⁴⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

⁵⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.</p>
შეფასება	<p>უსდ -ს ინფორმაციით, ვინაიდან სლავური ფილოლოგია ახალი პროგრამაა, რუსულ ენას ასწავლიან აფილირებული პროფესორ-მასწავლებლები, პოლონურ და უკრაინულ ენებს კი - მოწვეული უფროსი მასწავლებლები. მომავალ სასწავლო წელს სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში იგეგმება კონკურსის ჩატარების საფუძველზე აფილირებული აკადემიური პირების რაოდენობის გაზრდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლონური და უკრაინული ენები და ლიტერატურა სავალდებულო არჩევითი კურსებია (სტუდენტები გარდა რუსული ენისა, ვალდებულნი არიან აირჩიონ ან პოლონური ან უკრაინული ენა) და, შესაბამისად, აუცილებელია, პოლონური და უკრაინული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალის პროგრამაში ჩართვა. ასევე, ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.</p> <p><i>რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია.</i></p>
რჩევა ⁵¹ XXVII, XXX	<p>სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა შეიძლება აიწყოს მოდულურული პრინციპით (რუსისტიკის, პოლონისტიკისა და უკრაინისტიკის სავალდებულო-არჩევითი მოდულები). თითოეულ მოდულში ენის კურსებთან ერთად მოექცეოდა შესაბამისი ქვეყნის ლიტერატურისა და ქვეყანათმცოდნეობის კურსები, ასევე თარგმანთან, ფუნქციურ სტილისტიკასა და დარგობრივ ენებთან დაკავშირებული გამოყენებითი კურსები.</p>

⁵¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>სლავური ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა სლავურ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ კურსებს და თანაბარი დატვირთვითა და მოცულობით ისწავლებოდეს ყველა სლავური ენა.</p>
შეფასება	<p>რჩევა არ არის გაზიარებული.</p> <p>უსდ-ს ინფორმაციით, პროგრამა აგებულია გერმანული უნივერსიტეტების პრაქტიკის გათვალისწინებით (ერფურტის უნივერსიტეტი, ინსბრუკის უნივერსიტეტი, გესენის უნივერსიტეტი), სადაც პროგრამები აგებულია არა მოდულურული პრინციპით, როდესაც ყველა სლავური ენა ისწავლება თანაბარი მოცულობით, არამედ ორი სლავური ენის პრინციპით, როდესაც პირველი სლავური ენა (რუსული) სავალდებულოა, მეორე სლავური ენა კი - არჩევითია (პოლონური ან უკრაინული).</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>ბსუ-ს საბაკალავრო პროგრამის „სლავური ფილოლოგია“ ევროპული ანალოგები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გერმანია, ერფურტის უნივერსიტეტი - University of Erfurt https://www.uni-erfurt.de/en/studies/course-offerings/bachelor/slavic-studies; • ინსბრუკის უნივერსიტეტი - University of Innsbruck https://www.uibk.ac.at/studium/angebot/ba-slawistik-15w/index.html.en; • გესენის უნივერსიტეტი - Justus Liebig University Giessen - Slavic Studies (Bachelor) https://www.uni-giessen.de/en/study/courses/ba/slavic-studies; <p>აკად. საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილების შესახებ- პროგრამა, გეგმა (იხ. დანართი N4).</p>



თანდართული დოკუმენტაცია⁵²

დანართი 1- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები

დანართი 2 - სამუშაო გეგმა

დანართი 3 - ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

დანართი 4 - აკადემიური საბჭოს დადგენილება № 06-01/115 საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამაში „სლავური ფილოლოგია“ ცვლილებების შესახებ - პროგრამა, გეგმა

დანართი 5- შრომის ბაზრის კვლევა

დანართი 6 - დადგენილება N 06-01/54 14 ივლისი, 2023

დანართი 7 - სილაბუსები

დანართი 8 - დადგენილება N111 8 ოქტომბერი, 2015 წელი

დანართი 9 - 2023 წლის 11 მაისის ბრძანება N01-04/43 ტრენინგებზე „ამობრუნებული სასწავლო ოთახის მოდელი ინლაინ- სწავლებაში“

დანართი 10 - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

დანართი 11 - ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა სტატისტიკური მონაცემები

დანართი 12 - ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩატარებული ტრენინგები

დანართი 13 - უცხოელი პროფესორების მოწვევა

დანართი 14 - ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესი“

დანართი 15 - ბრძანება N01-04/65 28 აპრილი, 2023

დანართი 16 - ბრძანება N01-04/147 02 ოქტომბერი, 2023

დანართი 17 - წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით N3 „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“

დანართი 18 - ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი

დანართი 19 - ხარისხის სამსახურის პოლიტა

დანართი 20 - ბრძანება N 01-10/61 09.07.2022 „ბსუ-ს პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“

დანართი 21 - კლასტერის ფორმირების და თვითშეფასების მომზადების მეთოდოლოგია

დანართი 22 - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათი

დანართი 23 - ბიბლიოთეკის დასტური

⁵² თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



დანართი 24 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

დანართი 25 - მონაცემები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ.

ექსპერტის ხელმოწერა